საქართველოს კანონი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 215[1] მუხლი:

„მუხლი 215[1]

1. საქართველოს პარლამენტი 6 წლის ვადით ირჩევს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ექვს წევრს. სამს ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა (თუ საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს - ყველაზე მეტი წევრის მქონე ფრაქცია) ხოლო სამს პარლამენტის დანარჩენი წევრები.
2. მეურვეობის კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განკარგულებით იქნება საკონკურსო კომისია 9 წევრის შემადგენლობით. საკონკურსო კომისია საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ასარჩევზე სულ ცოტა სამჯერ მეტ კანდიდატურას.
3. საქართველოს პარლამენტი მეურვეს ირჩევს პარლამენტის სხდომაზე, საკონკურსო კომისიის მიერ მეურვის კანდიდატურის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. თუ ვაკანსია მიეკუთვნება საპარლამენტო უმრავლესობის კვოტას მეურვეს ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა (თუ საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს- ყველაზე მეტი წევრის მქონე ფრაქცია), წინააღმდეგ შემთხვევაში მას ირჩევენ პარლამენტის ის წევრები, რომლებიც არ შედიან საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციაში.
4. თუ ვაკანსია ერთზე მეტია და მიეკუთვნება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე პარლამენტის დანარჩენი წევრების კვოტებს ჯერ აირჩევა მეურვე (მეურვეები) საპარლამენტო უმრავლესობის კვოტით. ხოლო შემდეგ- პარლამენტის დანარჩენი წევრების კვოტით.
5. მეურვედ არჩეულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ, შესაბამისად, საპარლამენტო უმრავლესობის (თუ საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს-ყველაზე მეტი წევრის მქონე ფრაქციის) და პარლამენტის დანარჩენი წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობისა.
6. კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების თანაბრობის შემთხვევაში თუ ასეთ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება ვაკანსიათა რაოდენობას, მათ შორის იმართება ხელახალი კენჭისყრა და არჩეულად ითვლება ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს.“.

5 ძალ

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 229[1] მუხლი:

„229[1] მუხლი

1. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში.
2. უნდობლობის საკითხის დასმის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ერთ მესამედს. უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედი. პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ორი მესამედის თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში დაუშვებელია უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო წლის განმავლობაში.
3. პარლამენტის დადგენილებით, რომელიც მიიღება პარლამენტის სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობით საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება იმ შემთხვევებში თუკი იგი დაარღვევს „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის ნორმებს ან ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს მეურვის უფლებამოსილებას.
4. მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ ეს ვადა დაემთხვა არასასესიო პერიოდს - მომდევნო სესიის დაწყებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს და კენჭს უყრის მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს.
5. ერთი და იმავე ფაქტის საფუძველზე მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განმეორებით დასმა დაუშვებელია.
6. პარლამენტის გადაწყვეტილება მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ან ასეთი გადაწყვეტილების მიუღებლობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.".

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,

2013 წლის .....